

თევზის საკვები კობრისთვის (500 გრამიდან)



ფინიში

კობრის საკვები - არის მზა კომბინირებული საკვები კობრისებრთა თევზების გამოსაკვებად, რომელიც შემუშავებულია კობრის გამოსაკვებად გამომზადის ყველა სტადიაზე, ლიფსიტობიდან სასურსათო თევზის მიღებამდე.

- კობრის საკვებით დროის მოკლე პერიოდში საკვებზე ნაკლები დანახარჯით მიიღება მაქსიმალური შედეგები;
- კობრის საკვები მზადდება უმაღლესი ხარისხის ნედლეულით;
- კობრის საკვები მორგებულია თევზის განვითარების სხვადასხვა ფაზას;
- კობრის საკვები მხარს უჭერს თევზის ჯანმრთელობას და უზრუნველყოფს სასასურსათო თევზის მაღალ საგემოვნო თვისებებს.

გამოყენებული ინგრედიენტები:

HENDRIX კობრის კონცენტრატი, ომეგა ცხიმოვანი მჟავები - პროფიმ ომეგა, სოიოს შროტი, მესესუმირის შროტი, სიმინდი, ქერი და სხვა მცენარეული წარმოშობის ნედლეული, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს და ევროკავშირის კანონმდებლობით.

- შენახვის ვადა:** დამზადებიდან 2 თვე (შენახვის წესების დაცვის შემთხვევაში).
- შენახვის წესი:** მშრალი, გრილი და მზისგან დაცული ადგილი.

გამოყენების ინსტრუქცია:

კობრისთვის საკვების მიწოდება ხდება ორი მონაცემის: **წყლის ტემპერატურის და ტბორში თევზის საერთო მასის გათვალისწინებით**. ყოველ 100კგ თევზს დღე-ღამის განმავლობაში უნდა მიენოდოს საკვები მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| წყლის ტემპერატურა °C | 10 | 12 | 14 | 16 | 18 | 20 | 24 | >24 |
|----------------------|-----|-----|----|-----|-----|----|-----|-----|
| საკვების რაოდენობა * | 0.5 | 0.7 | 1 | 1.5 | 1.8 | 2 | 2.5 | |

* კგ საკვების რაოდენობა 100კგ თევზზე დღე-ღამეში.

მაგალითად: ტბორს თევზის მასა 1000 ცალი 100 გრამიანი თევზის პირობებში 100 კილო-გრამია. შესაბამისად 18°C ზე 100კგ თევზის ბიომასას დღე-ღამეში მიენოდება 1,8კგ საკვები. თუ ბიომასა არის 200 კგ მაშინ მიენოდება $2 \times 1.8\text{კგ} = 3,6\text{კგ}$ საკვები და ა.შ.

კვების რეკომენდაცია:

- კობრს საკვები მიენოდება საკვებურით ან წყალში ხელით მოფანტვის საშუალებით;
- ხელით კვების პირობებში კვება შეიძლება დღეში ორჯერ: დილით ადრე და შუაღამით (წყლის 20 გრადუსზე და მეტი გათბობის შემთხვევაში შესაძლებელია სამჭერადი კვებაც);
- საკვების მიწოდება/მოფანტვა უმჯობესია მოხდეს ერთსა და იმავე ადგილას, რადგანაც კობრი სწავლობს და ყრვევა გამოკვების ადგილს.

გაფრთხილება:

- ტბორში წყლის ხარისხი, ჟანგბადის დაბალი შემცველობა, მძიმე მეტალები, მჟავიანობა, სიმღვრივე, ბიოლოგიური დაბინძურება და ორგანული ნარჩენებით დაბინძურება უარყოფით ზეგავლენას ახდენს კობრის ზრდაზე და პროდუქტიულ მონაცემებზე.
- თევზის ჯანმრთელობაზე ასევე მოქმედებს მრავალი ვირუსული, ბაქტერიული და სოკოვანი დაავადება.

ხარისხობრივი მახასიათებლები

| | |
|----------------|----------------|
| ნედლი პროტეინი | 29% |
| კალციუმი | 1% |
| ნედლი უჭრედანა | 6,4% |
| ფოსფორი | 0,67% |
| ლიზინი | 17,5 გ |
| ენერჯია | 2600 კკალ (ME) |
| მეთიონინი | 6,7 გ |
| ვიტამინი A | 5 000 სე |
| ვიტამინი D3 | 1 500 სე |